№ 58
ხუთშაბათი, 17 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 58
ხუთშაბათი, 17 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 მარტს

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. აბაშიძის მონაწილეობით:

I

**დავი-დარაბა**

კომედია 3 მოქ. თ. დ. ერისთავისა

II

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

კომ.-ფარსი ორს მოქ. თ. რ. ერისთავისა

III

დივერტისმენტი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კლ. ალექსეევ-მესხიშვილი

ადმინისტ. კ. შათირიშვილი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 31-ს ამა მარტს, გამგეობაში დანიშნული არის ვაჭრობა გასაცემად ხუთის წლის იჯარით ქალაქის საშენი ქვის სატეხის სახელწოდებით „ეკლარისა“, რომელიც მდებარეობს სოფლის ჭოკნარისა მახლობლად ქუთაისის მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ ვაჭრობის პირობაებს გამგეობაში ყოველ დღეს ათის საათიდგან ორ საათამდის. (3—3)

**რჩევა წმინდა ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს საყოველთაოდ,** რომ: ვისაც ჰსურს, თავისი ქალი მიაღებინოს წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის პანსიონში, უნდა ამაზედ თხოვნა შეიტანოს საზოგადოების რჩევის სახელობაზედ არა უგვიანეს 15 აპრილსა, ხოლო ვისაც ჰსურს მიღება პანსიონში თავის ხარჯზედ, თხოვნა უნდა შეიტანოს არა უგვიანეს 15 ივნისისა. თხოვნასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი ა) მეტრიკის მოწმობა დაბადებისა და ნათლობისა, ბ) ექიმის მოწმობა აცრისა და ჯანმრთელობისა, გ) მოწმობა შთამომავლობისა და სიღარიბისა, თუ ჰსურთ თავიანთ ქალის მიღება საზოგადოების ხარჯზედ. ვინც აღნიშნულ ვადაზედ გვიან შემოიტანს თხოვნას, იგი დატოვებულ იქმნება რჩევის-მიერ უყურადღებოდ. (2—2)

## ტფილისი, 17 მარტს

არა თუ საზოგადოების განათლებულს ნაწილში, არამედ გლეხობაშიაც-კი უკვე გაიკვალა და გაიკაფა გზა იმ აზრმა, რომ საზოგადო საქმის მმართველი, მეთაური რისამე გონება-განვითარებული, ცოდნით აღჭურვილი კაცი უნდა იყოს. ამას, სხვათა შორის და უფრო ნათლად, ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჩვენი სოფელი, ზოგიერთი მაინც, ხარჯს, ჯამაგირს, ქისის პირის მოხსნას არ ერიდება, ოღონდ-კი მცოდნე, განვითარებული კაცი ამოირჩიოს მამასახლისად, სულ ერთია, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი, და იმას მიანდოს თავისის სოფლის ბედიღბალი, თავისის საზოგადოების ავ-კარგი.

უწინ სოფელი თავისისავე სოფლისას, თავისთანავე გლეხს ირჩევდა, იმას აყენებდა სოფლის ცხოვრების სათავეში და ავალებდა უჯამაგიროდ სამსახურს. მაგრამ გამოცდილებამ დაანახვა, რომ თუ პატიოსანი გლეხი იყო, თავისის ოჯახის სიკეთესა და კეთილდღეობას ვერა სთმობდა, თავისს ძალ-ღონეს ოჯახის მუშაობას ანდომებდა და სამამასახლისო საქმე მოუცლელობისა გამო უყურადღებოდ, უპატრონოდა ჰქონდა დატოვებული; ხოლო თუ პატიოსნება, სოფლის სიკეთე არად მიაჩნდა, მაშინ აკეთებდა ამ საქმეს, მართლაც მამასახლისობდა, მაგრამ სოფელი „სათლელი დუმა“ გაეხადნა და ითლიდა თავისკენ რამდენიც და როგორც-კი შეეძლო, კანონიერადაც და უკანონოდაც. ასე ხდებოდა, თუ ყოველთვის არა, უმეტესს შემთხვევაში მაინც.

კიდეც ამიტომ სოფლად სამამასახლისო საქმე ან ბედზედ იყო მინაბრებული, ან სოფელი მამასახლისის წინაშე ძრწოდა და კანკალებდა და უკეთესი სახლ-კარი, უკეთესი ოჯახი იმასა ჰქონდა. თუ იკითხავდით, როგორ მოახერხა ამ კაცმა ასეთის ქონების მოპოვებაო, გიპასუხებდნენ, „სამჯერ ზედიზედ ვირჩევთ, შენი ჭირიმე, მამასახლისად და აგერ ცხრა წელიწადია სოფლის ავი და კარგი მაგის ხელშიაო“. ასე უანგაროდ ემსახურებოდა სოფელს მამასახლისი!..

შემდეგ, რაკი გლეხობამ თვალი გამოახილა და, თუმცა გვიან, მაინც სავსებით იგრძნო უკეთურობა უწინდელის წესისა, იგი სულ სხვა გზას დაადგა, გზას, რომელიც მოწონებულია თვით მთავრობისაგანაც, საზოგადოების განათლებულ ნაწილისაგანაც და ხელ-საყრელი და სასარგებლოა თვით გლეხ-კაცობისათვისაც. ეს გზა, როგორც ვსთქვით, გონება-განვითარებულის, ცოდნით აღჭურვილის მამასახლისის ამორჩევაა ჯამაგირით. „ეს გლეხ-კაცობა, რომელიც, უწინ ხშირად და ეხლაც არა იშვიათად, გაიძახის, სასწავლებელი არ გვინდა, რადგან იმის შენახვას ვერ ვუძლვებითო— ალბად ჯერ კიდევ კარგად ვერა აქვს შეგნებული მისი სიკეთე,—ის გლეხ-კაცობა ეხლა წელიწადში სამოც, ოთხმოც და ას თუმანს არ იშურებს განვითარებულის მამასახლისის ჯამაგირად, ოღონდ-კი სოფელს რიგიანი პატრონი და მზრუნველი მოუპოვოს.

სასიამოვნო უფრო ის არის, რომ ამ ახალმა, სასურველმა აზრმა თითქმის ერთს დროს ორის მხრივ დაიწყო დენა. ერთის მხრივ მთავრობა და განათლებული საზოგადოება ჰხადიდა სასარგებლოდ ამ საქმეში ასეთის ცვლილების შემოღებას, მეორეს მხრივ— თვით გლეხობამ შეიგნო მისი სიკეთე, ხელი მიჰყო კიდეც ამ აზრის განხორციელებას და საქმითაც დარწმუნდა იმის სიკარგეს. მაშასადამე, ეს საქმე რაც უფრო სწრაფის ნაბიჯით ივლის სავსებით განხორციელების გზისაკენ და რაც უფრო ჩქარა ეწევა სრულს საწადელს, მით უფრო სასიამოვნოა, მით უფრო საკეთილოა. ამიტომ დღეს გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს პროექტს, რომელიც ამ საგნის შესახებ იყო შედგენილი ‘დ დღევანდლამდე ისევე პროექტად არის დარჩენილი.

პატივცემულმა თელავის მაზრის უფროსად ნამყოფმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა ჯერ ისევ მაზრის უფროსობის დროს შეადგინა პროექტი მთელის თელავის მაზრის სამამასახლისოებად დანაწილებისა იმ აზრით, რომ ამ ნაწილების მამასახლისებად განვითარებული კაცები იქმნენ მოწვეულნი ჯამაგირითაო. ამ პროექტით, თელავის მაზრა რვა სამამასახლისოდ იყო განაწილებული, იმვარაუდით, რომ თითო ნაწილში 1,200-დგან 1,500-მდე კომლი სოფლის მკვიდრი ყოფილიყო, რათა არ გასძნელებოდათ მამასახლისის ჯეროვანად დაჯამაგირება. მაგალითებრ, ერთს ნაწილში ჩათვლილი იყო შემდეგი სოფლები: შილდა, ენისელი, საბუე, გრემი, ფაშაანი, ზეგაანი და ტურის-ციხე, მეორეში სამი სოფელი: ყვარელი, ძველი-გავაზი ანუ ახალ-სოფელი და ახალი-გავაზი. ამ სახით პირველს ნაწილში 1,300 კომლი იქნებოდა, მეორეში—1,500-მდე.

რასაკვირველია, ამდენს კომლს არ გაუჭირდებოდა ჯეროვანის და სწორედ შესაფერად განათლებულისა და მცოდნე სამამასახლისო კაცის ამორჩევა და არც იმის ჯამაგირს შეუშინდებოდა, რადგან კომლს ათ შაურიდგან მანეთზედ მეტის გარდახდა არ შეჰხვდებოდა წელიწადში. სამამასახლისო იმ სოფელში გაიმართებოდა, რომელიც ჰმეტობდა სხვებს მცხოვრებთა რიცხვით და რომელსაც უფრო მოხერხებული ადგილი ეჭირვებოდა, რომ სხვა სოფლების თვალ-ყურის გდება და პატრონობაც შესაძლებელი ყოფილიყო.

ეს ფრიად მოსაწონი პროექტი

# ფელეტონი

## კაკო დიაკვანი

(მოთხრობა)

### I

ქვრივი თეკლე სოფ. ვარდიციხეში განთქმული იყო თავისის ღვთის მოყვარეობით. დაირეკებოდა თუ არა საყდრის ზარი, ატუზული იყო მღვდელ-დიაკვნის წინ ხელში სანთლებით. მისი შავი კაბა, შავი თავშალი, ნახევრობით გაცვეთილ-დაგლეჯილი, და ძველი ფოსტლები მხილველს ცხადად უმტკიცებდა, რომ თეკლე ღარიბი იყო. საწყალი ექვსის წლის ჯვარ-დაწერილი იყო, როდესაც საყვარელი მეუღლე დავითა გამოესალმა წუთი-სოფელს სამუდამოდ. დავითას სიკვდილი და თეკლეს უკან-უკან დაწევა ერთი იყო. დავითა საკმაოდ შეძლებული გლეხი იყო; იმას სოფელში მხნეობითა და გამსჯელობით ტოლი არა ჰყავდა; რაკი თქვენი ჭირი წაიღო, საწყალმა ქვრივმა თეკლემ, როგორც სუსტმა და ცხოვრებაში გამოუცდელმა, ველარ შეიძლო ოჯახის და სარჩო-საბადებლის გაძღოლა და, ცოტა არ იყოს, რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი მისი დაობლებული ოჯახი უკან-უკან მიდიოდა, ოხრდებოდა.

თეკლე თუმცა ახალგაზდა იყო, მაგრამ მეორედ გათხოვება აღარ მოიწადინა. პირველი მიზეზი ამისა იყო თავის საყვარელ დავითოსთან სიკვდილის ჟამს ფიცის, აღთქმის დადება; მეორე მიზეზი—მომაკვდავი დავითას სიტყვები: „თეკეჯან, აგერ მივდივარ სამუდამოდ და ვინძლო ჩემი ერთად ერთი პატარა—გვრიტი კაკო არ დამიობლო სრულიად, არ დააჩაგვრინო არავის და ოჯახის კერა არ გააქრო...“ თეკლეს ეს სიტყვები გონებიდან არა შორდებოდა, ერთს წუთს არ ავიწყდებოდა, აგონდებოდა ის უბედური ტკბილის ცხოვრების ჩამშხამებელი საათი, გული ეთუთქებოდა მწარედ და მეორედ გათხოვება აზრადაც არ მოსდიოდა.

იმისი ნუგეში და ერთად-ერთი სიცოცხლის დამატკბობელი, მისის დაჩაგრულის გულის გამამხიარულებელი იყო მისი პაწია კაკო. დავითოს და თეკლეს კაკოს მეტი შვილი არ გასჩენიათ. ამიტომ ძრიელ სათუთად და განებივრებით ზრდიდნენ. საცოდავ დავითოს ისრე გაგიჟებით უყვარდა კაკო, რომ ის დღე-დღე არ იყო, რა დღესაც თავის კაკოს თვალს ვერ მოჰკრავდა, მაგრამ მუხანათმა სიკვდილმა სიცოცხლე მოუსპო საცოდავს და უდროვოდ ჩაუშხამდა ტკბილი ალერსი შვილისა და ყოველივე მომავალი ბედნიერება. გაჰქრა ყოველივე დავითოსთვის, ისე აღიგავა ყოველივე, თითქო ამ ქვეყანას არც-კი ყოფილიყოს... დასტოვა თვალ-ცრემლიანი თეკე, ჯერ სიყვარულ აუღებელი და ტკბილი მერცხალივით მოჰიკჰივე კაკო ობლად, უპატრონოდ, მარტოდ-მარტონი ერთის ღვთის ინაბარად...

### II

განვლო ჟამმა და ქვრივმა თეკლემ ხანგრძლივი მწუხარება და მგლოვიარობა, როგორც იყო, დაივიწყა... პატარა კაკო წამოესწრო; ეხლა თეკლეს უნდა ეზრუნა კაკოს მომავალ ბედ-იღბლისათვის. თეკლეს პირველი ნატვრა-სურვილი ის იყო, რომ კაკოსთვის წერა-კითხვის ცოდნა შეეძინა. რვა წლის მერცხალა, მოკაზმულ-მორთული კაკო, რაკი ახლო-მახლო სკოლა არსად იყო, თეკლემ მიაბარა თავიანთ სოფლის დიაკვანს ბასილას,—რომელიც მთელ იმ სოფელში განთქმული იყო თავის „სწავლა-ცოდნითა“. მისი «სწავლა-ცოდნა» იყო: რასაკვირველია, ეკკლესიურ წიგნების წყალივით კითხვა და „ანგარიშების“ წერა... ამ უკანასკნელის ხელობით ბასილა დიაკვანი კარგა საზრდოს შოულობდა. თითო ანგარიშის წერა-დახატვა მანეთი იყო... თეკლემ რომ ჩააბარა კაკო ბასილა დიაკვანს, უთხრა: ეს შენი ამანათი და შენ ღვთისა,—ვინძლო, გამიწურთნო შვილი და შენი ხელობა შესძინოვო. ბასილა დიაკვანმა თეკლე დიდის იმედით გამოისტუმრა უკან და ბოლოს ესეც უთხრა: „დედა-შვილობას, თეკლე, შენ ფიქრი ნუ გექნება, ისე გამოგიზარდო ე ქორფა, რომ მე გადამაჭარბოსო“. თეკლე დარწმუნებული იყო, რომ კაკო, როგორც მალხაზი ბავშვი, ადვილად შეითვისებდა ყოველს სწავლას; ისიც იცოდა, როგორც გონიერმა მანდილოსანმა, რომ ბასილ-დიაკვანი მის შვილს ისრეთ სწავლა-ცოდნას ვერ მიაღებინებდა', როგორც საჭირო იყო, მაგრამ რას იზამდა?—იმოდენა შეძლება-ღონისძიებაც არა ჰქონდა საბრალოს, რომ სადმე სკოლაში მიებარებინა, არავინ ჰყავდა გულ-შემატკივარი, რომ ამ ობოლ-ოხრისთვის ეპატრონებინა და აი ამიტომაც იძულებული იყო მიებარებინა ბასილა დიაკვნისათვის...

ვიდრე პატარა კაკოს ცხოვრებასა და სწავლაზედ ბასილ-დიაკვნის სახლში ვიტყოდეთ რასმეს, მკითხველს უნდა გავაცნოთ ბასილ-დიაკვანის მდგომარეობა. ბასილ-დიაკვანი ორმოც-და-ათის წლის კაცი იქნებოდა. ჰყავდა თავისავე ხნის ცოლი თებრონია და ოთხი მოსწრებული ქალიშვილი. მისი სადგომი სახლი ორი პაწია ოთახი იყო და ერთი დერეფანი. ერთი ოთახი სავსე იყო სახლის ავეჯულობით: გობით, გოდრებით, ცხვრის ტყავებით, კალათებით, სიმინდის ტაროებით, ქოთნებით და სხ. მეორე ოთახში-კი თვით ბასილ-დიაკვანი სცხოვრობდა თავის ცოლ-შვილით. ამ ოთახის ერთად-ერთი პაწია ფანჯარა, რომელიც ერდოსკენა ჰქო-

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა მაშინვე წარადგინა ტფილისის საგუბერნიო სამართველოში, მაგრამ წინ ერთი დაბრკოლება დახვდა. ამ დროს პატივცემული ი. ჩოლოყაშვილი სხვა თანამდებობაზედ გადაიყვანეს, ხოლო იმის ადგილას, თელავის მაზრის ახალ უფროსად, დანიშნეს ბ-ნი განსევიჩი. საქმეთა ასეთის ვითარების გამო, როგორც შევიტყეთ, საგუბერნიო სამართველოს საჭიროდ დაუნახავს ზემოხსენებულის პროექტის უკანვე დაბრუნება, რათა ახალმა მაზრის უფროსმაც განსაჯოს იგი და თავისი აზრი წარუდგინოს მთავრობას. მას შემდეგ აგერ უკვე სამი-ოთხი თვეა და ამ პროექტის ბედ-იღბალისა აღარა ისმის-რა.

ამ პროექტის სწრაფი შემოღება და დაკანონება-კი რომ სასურველია, ამას, რასაკვირველია, ეჭვი არა აქვს. განვითარებულ და მცოდნე მამასახლისების მოწვევის შემდეგ, ჯერ ერთი, თვით სოფლების საქმე უკეთ წავა; მეორე,—მაზრის სამართველოებს უფრო გაუადვილდებათ ასეთ მამასახლისებთან დამოკიდებულება, და მესამე,—ბოლო მოეღება პარპაშობას აწინდელ სოფლის ვიგინდარა მწერალისას, რომელიც, მხოლოდ იმის წყალობით, რომ „კალმის კაცია“ და ორიოდე ქაღალდის ჯღაბნა იცის, სოფელს ბურთსავით ხელში ატრიალებს და საითაც უნდა, თავს იქით აქნევინებს.

სასურველია, რომ ამ პროექტს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრის უფროსებმაც და საზოგადოდ ამ საქმის განხორციელებას ხელი შეუწყონ, მეტადრე ქუთაისის გუბერნიაში, სადაც, რამდენადაც გვახსოვს, აქამდე ჯერ მაგალითი არა ყოფილა სოფლის მიერ ჯამაგირით განვითარებულისა და მცოდნე მამასახლისის მოწვევისა.

ფარნაოზი

# ახალი ამბავი

⁂ მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს ტფილისში მოელიან ივლისის 10-ს. შაჰს თან მიჰყავს პეტერბურგსა და ბერლინში თავისი მემკვიდრე.

⁂ ჩვენ მოგვივიდა სახალხო საკითხავად გამოცემული პაწია წიგნაკი „მაგდანას ლურჯა“, თხზ. ეკ. გაბაშვილისა. ეს წიგნაკი ფრიად ლამაზად და სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 35 გვერდს და ჰღირს სულ ერთი შაური. წიგნაკი გამოცემულია ქართულ წიგნთ-საცავთან დაარსებულ სახალხო წიგნების გამომცემელ საზოგადოების მიერ. ეს პირველი გამოცემაა ამ საზოგადოებისა და სასურველია, რომ იგი რაც შეიძლება, ძლიერ გავრცელდეს სოფლის მკვიდრთა და მდაბიო ხალხს შორის, რადგან სწორედ ამ აზრით არის გამოცემული. წიგნაკი იმდენად იაფადა ჰღირს, რომ მისი ყიდვა არავის გაუჭირდება, თუ, რასაკვირველია, ჩამგონებელი და მრჩეველი გამოუჩნდა ხალხს, რომ ამისთანა წიგნები შეიძინოს ხოლმე.

⁂ როგორც მთავრობის სამხედრო უწყების განკარგულებიდგანა სჩანს, პოლკოვნიკის რეიტერისათვის უბოძებიათ გენერალ-მაიორობა და იგივე დაუნიშნავთ ტფილისის კომენდანტად, გენერალ-ლეიტენანტის ერნსტის მაგიერად.

⁂ მთავრობის განკარგულებით, ბაქოს გუბერნია ადმინისტრატიულად სულ სხვაფრივ იქნება განაწილებული. უმაღლესად დადგენილია, რომ დასახლებული ადგილები, მდ. გირდიმანის მარცხენა ნაპირას მდებარე, ჩაირიცხოს შემახიის მაზრაში, ხოლო ქ. შემახიის ძველ ფოსტის გზის ქვევით და მდ. ახსუს სოფლის გზის, რომელიც სოფ. ჯევათამდე მიდის სოფ. ახსუდგან დაწყებული, მარჯვენა დასავლეთის მხარეს მდებარე ადგილები —გეოქჩაის მაზრაში.

⁂ კავკავის გზის სადგურებიდგან დეპეშებით იუწყებიან: მარტის 16-ს მლეთიდან კობის სადგურამდე თოვლჭყაპი მოდის. დღისით სამი გრადუსი სითბოა. საღამოობით და განთიადისას ცოტა ჰყინავს. მარტის 15-ს, ნაშუადღევის 3 საათზედ, საფოსტო გზაზედ ჩამოწოლილს თოვლის ზვავის ახლოს სხვა ახალი ზვავი ჩამოწვა, რომელმაც ქვეშ დაიტანა რამდენიმ კავკაველი ოსი და იმათი ცხენები. ოსები ცოცხალ-მკვდარი ამოთხარეს თოვლიდგან და სამი ცხენიც გადაარჩინეს, დანარჩენი ცხენები-კი ზვავ ქვეშ დაიხოცნენ. ამ ახლად ჩამოწოლილს ზვავს გზა არ შეუკრავს.

⁂ მთავრობას შეუმჩნევია რომ ზოგიერთნი საზღვარ-გარეთიდან სწერენ ხოლმე რუსეთში მოვაჭრეებს, ვისაც გინდათ ამა და ამ ფასად გიშოვით საზღვარ-გარეთ გამართულის გამოფენის მედალს და სხვა საჩუქარსა და ხშირადაც მომხდარა, რომ მართლა უშოვნიათ ასეთი საჩუქარი, მაგრამ ამ გვარად შოვნა მედლისა, რომელიც აღმნიშვნელია რომელისამე ნაწარმოების ღირსების ავ-კარგიანობისა, რასაკვირველია, ვერ დაასაბუთებს სინამდვილეს და თუ ამ საჩუქრის მიმღებმა ვაჭარმა თავის ნაწარმოებზედ, ან მაღაზიის წინ გამოჰფინა ასეთის საჩუქრის ნიშანი, იქვი არაა, მყიდველი მოტყუებული დარჩება თვით ნაწარმოების ღირსების შესახებ, რადგან არ იცის, რა წესით შეუძლიანთ ზოგიერთ ამ საჩუქრის შეძენა.

ამის გამო საფინანსო და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა განკარგულება მოახდინეს და ამის თანახმად ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, გრაფმა ტიზენ-ჰაუზენმა, ბრძანება გასცა, რომ ამას იქით მხოლოდ იმ ვაჭარს მიეცეს ნება გამოაცხადოს საჩუქრის მიღება საზღვარ-გარეთ გამართულის გამოფენისა იმ შემთხვევაში, როცა ამ გამოფენაზედ თვით რუსეთს მიუღია მონაწილეობა, ან როცა რუსეთის მოვაჭრეებს ნება მთავრობისაგან დაერთობათ, ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღებასა.

⁂ 15 ამთვისას სემენარიის ვიწრო ქუჩაზე ფურგონში შებმული სამი ცხენი დაფრთხა. გაქანებული ფურგონიდგან გადმოვარდა იაგორ ტარატაშვილი და ნიკოლოზ გოგნიძე და მსუბუქად დაშავდნენ. ცხენები საზოგადო ქუჩაზე დაიჭირეს.

⁂ ამავე დღეს სარაჯოვის არყის ქარხნის გამგებელმა გავრიილოვმა პოლიციაში გამოაცხადა. რომ ბოჩკის მკეთებელმა ნიკიტა ხარიაკოვმა სამი ფუთი ბოჩკის რკინის სალტე მოგვპარაო. დამნაშავე შეიპყრეს და დანაშაული აღიარა კიდეც.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენის გაზეთის გუშინდელ, მე-57 №-ში დაბეჭდილი პოემა განდეგილისა „შეჩვენებული“ კვლავ შეცდომით არეულია. პირველ გვერდზედ ეს პოემა რიგზედ მიდის, ხოლო მეორე გვერდის ფელეტონის პირველ სვეტიდგან, სადაც მესამე თავი იწყება, ამ თავის მე-12 სტრიქონის „შთანთქმას უპირებს მის იქით სოფლებს“ შემდეგ უნდა გადახვიდეთ იმავე გვერდის მეოთხე სვეტზე, სადაც იწყება ზემოდგან მე-15 სტრიქონი: «ლაშქრის საომარ ხმა და კიჟინზე“ და მიდის ამ რიგად მესამე გვერდის ფელეტონის მეორე სვეტის ზემოდგან მე-9 სტრიქონამდე: „ამ გვარად ჩერქეზთ საუკეთესო“. მერე უნდა გადმოხვიდეთ მეორე გვერდის პირველ სვეტის ქვემოდგან მე-9 სტრიქონთან „ორმოცი გმირი არის მოკლული“, ჩაიკითხოთ „ლაშქრის საომარ ხმა და კიჟინზე“-მდე და ისევ გადახვიდეთ მესამე გვერდის მეორე სვეტის ზემოდგან მე-10 სტრიქონზედ, სადაც სწერია. „ბოროტის რჩევით დაღვრილი სისხლი“, შემდეგ-კი რიგზედ მიდის.

რადგან ეს პოემა მეტრანპაჟის მიზეზით ასე აირია, რედაქცია ამ დღეებში ცალკე დაჰბეჭდავს და მკითხველებს დამატებად დაურიგებს.

## კორესპონდენცია

**სოფ. ხუმელაგა** (კავკავის მაზრა), თებერვლის 28-ს. თითქმის თხუთმეტი წელიწადია, რაც ხუმელაგაში მცხოვრებნი: თემრიყო თეთირმაზოვი და სხანჯერ ალდატოვი, გადაკიდებულნი არიან ერთმანეთზედ. საჩივარი განუწყვეტელი აქვთ ერთმანეთში წისქვილების გამო. მრავალჯერ ხანჯლები და კეტებიც დატრიალებულა ამ ორ მოსახლეთა შორის, მაგრამ კეთილ ხალხს გადაურჩენიათ ორთავენი სიკვდილისაგან. სამართალმა თეთირმაზოვი მრავალჯერ გაამართლა, მაგრამ, ალდატოვი არა ჰკმაყოფილდებოდა და არ იშლიდა თავის საჩივარს. უკანასკნელად კიდევ გაამართლა პალატამ თეთირმაზოვი, და თეთირმაზოვის სასარგებლოდ ალდატოვს ჯარიმა მიუსაჯა ორმოც-და-ათი-თუმანი. ალდატოვს სულ აუწერეს ყოველივე რაც გააჩნდა. ახლა რაკი ალდატოვი დარწმუნდა ალარაფერი მეშველებაო, სხვა ნაირს ხერხს და ბოროტ-განზრახვას მიჰმართა და უნდოდა ჯავრი ამოეყარა მოპირდაპირესი. ალდატოვს მოესყიდნა სამი კაცი, სხვა სოფლელები, ეყიდნა ორ ფუთამდე ნავთი, და თოფის წამალი, გაეხსნა ერთად და მოემზადებინა ვედროში; აგრეთვე დაეხვივნა ძველი ძონძები ჯოხებზედ იმ განზრახვით, თურმე რომ თეთირმაზოვის სახლისა და გალავნის კედლებზედ შეესხათ (შენობა და გალავანი ხისა არის), ცეცხლი წაეკიდებინათ ღამე და გადაეწვათ თეთირმაზოვი. ყველაფერი რომ მოემზადებინა ალდატოვს, თავად თავის შვილით ტყეში წასულიყო, მითომდა, რა არის, ეჭვი ჩემზედ არ მოიტანონო. თუმცა ამ ნაირად დაეჭირა საქმე ალდატოვს, მაგრამ ბოროტს კაცს ღმერთი არ უმართავს ხელს. სამს ამა თებერვალს, ღამე, სწორედ იმ დროს, როცა ალდატოვის შესყიდული კაცები უნდა შესდგომოდნენ თავიანთ ბოროტ-განზრახვას, მივიდა თეთირმაზოვთან მთხრობელი და აცნობა: „ჩქარა უშველე თავს, ამაღამ გადაწვას გიპირობენ ალდატოვის შესყიდული კაცებიო“. თეთირმაზოვმა მაშინვე აცნობა მამასახლისს და სხვა სოფლის მოხელეებს, წაიყვანა შინ, და თავათ თავის ძმით მისავალ გზაზედ ჩაესაფრა ბოროტ-განმზრახველთ. თეთირმაზოვის მთხრობელმა, რაკი ესენი გამაგრებულნი დაიგულა დაჰკრა ფეხი და გაეშურა ალდატოვის სახლისაკენ. ამბობენ, მთხრობელი წინად ალდატოვის შესყიდულ კაცების ამხანაგი იყო, მაგრამ ბოლოს გულმა ველარ გაუძლო თეთირმაზოვის...

ნდა მოქცეული, ისრე მკრთალად ჰფენდა ოთახში სინათლეს, რომ ადამიანი ადამიანს რიგიანად ვერ გაარჩევდა შიგ. ოთახის ერთ-ერთ კუთხეში, ე. ი. ფანჯრის დასწვრივ, დიაკვანს ედგა ერთი დანჯღრეული სტოლი, რომელზედაც ელაგა: ერთი ათა-დადის ხნის დავითნი, ერთი იმ ნაირივე ჟამნი, ერთი სამოციქულო, ფრთის კალამი, თიხის საწერელი და ორი-სამი რაღაც გათხუპნული ხელთ-ნაწერი რვეული; სტოლის გვერდით იდგა ორი ხის ნამორი, რომელიც სკამების მაგივრობას სწევდა სტოლის პირდაპირ, კედლის გაყოლიება, სიგრძეზედ, გამართული იყო ცულით ნაჩორკნი სქელი უსწორმასწორო ფიცრების ტახტი, რომელიც დაფენილი იყო ორის ძველ-ახალის ჭილობით და ერთის დაგლეჯილის ფარდაგით; წინიდგან ტახტს ჩამოფარებული ჰქონდა თავიდგან ბოლომდე გათხუპნული და აქა-იქ დაგლეჯილი ტილო. ბუხრის რაფაზედ ოთახის გასანათლებლად იდგა შემურულ-შემჭვარტლული ლამპარი. კედლები შელესილი იყო თიხით. ბასილ დიაკვანი ოცის წლისა არც კი იყო, რომ ერთმა მოხუცებულმა მღვდელმა დიაკვნობა ასწავლა, მაშინვე დიაკვნად გაამწესებინა თავისავე სამშობლო სოფელში; მერე დიაკვანი დაქორწილდა, შვილები ეყოლა და ცოტა ხელ-ნაკლებათ შეიქმნა. მისი მცირე ჯამაგირი, მცირე შემოსავალი, ნახევრადაც არა ჰყოფნიდა მისს ოჯახობას... ამიტომაც ბასილ-დიაკვანს სხვა ხელობა—„ანგაროზების“ წერა დაეჭირა—და ამითი დღითი-დღე მოხუცებულობის ჟამს იოლად გამოჰყავდა ცარიელის ლუკმაპურით იმოდენა სახლობა. ქალიშვილები ერთიერთმანეთზედ მოსწრებულები და გასათხოვრები იყვნენ, მაგრამ ვინ იყო მათი მუშტარი,—ღარიბ-ლატაკს დიაკვანს არა ებადა-რა, რომ ვისთვისმე მზითევის დახარბებით მიეთხოვებინა; უმზითვოს-კი ყველა უფრთხოდა. დიაკვანის ქალებიც უსწავლელნი არ იყვნენ, კარგად და წყალივით იცოდნენ: მამაო ჩვენო.., უფალო..., მრწამსი და სხ., ამასთანავე შეესწავლათ ცოტა ოდენი ქართული ჯღაბნა-კითხვაც...

### III

პაწია კაკო ჯერ შეუჩვევარი იყო ბასილას ოჯახობას და ძალიან უცხოობდა. როგორც სათუთათ გაზრდილს, მალ-მალ მოაგონდებოდა დედა და მოშპებოდა ხოლმე შინისკენ. თეკლე, ისევ წამოიყვანდა რა ბასილასთან ათასის ტკბილეულობითა და ხილით მოტყუილებულს ბავშვს, შეემუდარებოდა დიაკვანს: შენი ჭირიმე, ეს ერთად-ერთი სამთელი დარჩომია თავის ცხონებულ მამას და აბა, მიავალე შენს ღმერთს და ნუ ჩააქრობ მაგ სანთელს; ეგრემც შენც ღმერთმა არ მოგაკლოს თავისი წყალობა ამ ნაირ ქვრივ-ობლის შეწყალებისთვისაო...

როგორც იყო, კაკო შეეჩვია ბასილ-დიაკვნის ოჯახობას. მალე გაშინაურდა და ყველანი ალერსითა და სიყვარულით ექცეოდნენ.

დიაკვანმა, არც აცივა, არც აცხე ლა, კაკოს მაშინვე ხუცური ან-ბანი დააწყებინა. ასოები ბავშვმა ორის თვის განმავლობაში, რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით, დაისწავლა; რაკი დიაკვანს თვალები კარგად არ უჭრიდა სიბერისაგამო და ასოებზედ ხელს ვერ უდებდა, იმისი ქალები ასწავლიდნენ ხოლმე კაკოს. ან-ბანი რომ დაისწავლა კაკომ, ბასილამ ახლა დავითნი მისცა ხელში და უბძანა, მუხლი და მუხლი ისრე დაესწავლა, რომ, როგორც წაკითხვით ისრე ზეპირად, „წყალივით“ სცოდნოდა. ბასილა კაკოს ხშირად ეტყოდა ხოლმე: შვილო, ისეთი ჩქარი კითხვა უნდა ისწავლო, რომ გაჭენებული ცხენიც ვერ მოგყვეს; თუ სადმე ვერ გაიგნე, ან შეგეშალა ასო, გასწი-გაჰკა, შეჩერება არ ვარგა, რომ სთქვან—შემოგნატრონ:—„ნეტავი შენის დედის ღმერთსაო»...

ბასილ-დიაკვანი კაკოს მუქდად არ ასწავლიდა. თეკლე ყოველ თვის თავზედ უგზავნიდა შვილის მასწავლებელს თითო აბაზს, ოთხ-ხუთ ფუთ ფქვილს და სხვა ნუზლ-სანოვაგეს. დღესასწაულებში-კი თეკლე შეაყვავებდა ხონჩას ქათამ-ინდაურ-ქადა-ნაზუქებით და თავის ფეხით ჩაუტანდა ხოლმე დიაკვანს. ან-კი რას დაიშურებდა საბრალო ქვრივი თავის ერთად-ერთის შვილისათვის. თუ რამე ებადა, სულ იმაზედ გადააგებდა, ოღონდ ესწავლა რამე...

ათის წლის კაკომ დიაკვან ბასილასთან დავითნი სულ გაიზეპირა, ე. ი., დავითნი შეისწავლა ორის წლის განმავლობაში. წირვა-ლოცვაზე ბასილა შეიყვანდა ხოლმე კაკოს და დავითნიდგან შესაფერ კანონებს წააკითხებდა. პატარა კაკო მალხაზად და მშვენიერის კილოთი ისე ჩაარაკრაკებდა ფსალმუნებს, რომ მლოცავნი შეჰნატროდნენ: „ცხონდა მამაშენი, შენი ტკბილი ენის ჭირიმე, ბიჭო;—მამაშენმაც უნდა სთქვას მოვკვდიო, ის ეხლაც ცოცხალია, შენ რომ ეგეთი გამოუხველ დედაშენსაო. ყოჩაღ თეკლე, მედა ჩემმა ღმერთმა, რომ ქალი ყოფილხარ და ლეჩაქი გხურებიაო“...

ორის წლის განმავლობაში კაკოს გონება-ჭკუა არასფრით არ ვითარდებოდა, თვინიერ ფსალმუნების გაუგებრად გაზეპირებისა. ან-კი მეტი რა მოეთხოვებოდა? ბასილ-დიაკვანმა ამის მეტი არა იცოდა-რა და კაკოსაც ესევე ასწავლა. მესამე წელს ბასილამ კაკოს ჟამნიდგანაც რამდენიმე წეს რიგი შეასწავლა, ასე რომ კაკოს შეეძლო გაჭირების დროს მოხმარებოდა მღვდელს წირვა-ლოცვაში... გალობაც ბასილამ თავის კილოზედ ასწავლა.

სამის წლის განმავლობაში კაკო საკმაოდ რომ განვითარდა ჟამნ-დავითნის კითხვაში ბასილ-დიაკვანთან, ურჩიეს წასულიყო ქალაქს და რომელსამე ეკკლესიაში უფრო კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის მთელი ოჯახის და ათის სულის ადამიანის დაღუპვა გაუძნელდა და მთხრობლად გამოვიდაო; მთხრობელი მივიდა და უთხრა შესყიდულ კაცებს: „სად მიდიხართ? თეთირმაზოვს გაუგია, გზაში ჩასაფრებული არის; როგორც მიხვალთ, ერთი აღარ დაბრუნდებით ცოცხალიო“. ამ ამბის გამგონე ბოროტი კაცები შეშინდნენ, მაშინვე შესხდნენ ცხენებზედ და გაუდგნენ გზას. ესევე მთხრობელი, ესენი რომ გაისტუმრა, დაბრუნდა უკან და ისევე ჩავიდა თეთირმაზოვთან და უთხრა: „შენი მტრები აღარ მოდიან, გაიგეს თქვენი ამბავი და გაიქცნენ, ხოლო თუ გინდა აღმოაჩინო შენის მტრის ბოროტი-განზრახვა, ეხლავე წაიყვანე სოფლის მოხელენი, შედი ალდატოვის ეზოში; ამა-და-ამ ალაგას პატარა ორმოში აწყვია, შენის სახლის გადასაწვავად მომზადებული მასალა და ყველას იპოვნიო. მართლაც, სოფლის მოხელენი გაემგზავრნენ ალდატოვის სახლში, მონახეს, და პატარა ორმოდან ამოიღეს ორი თითო ფუთიანი ნავთის ქურქელი, ვედრო თოფის წამლით და მომზადებულის ნავთით და სხვა, როგორც ზემოთა ვსთქვით. ალდატოვი, მეორე დღეს ტყიდგან რო დაბრუნდა და შეიტყო თავისი თავ-გადასავალი, ელდა ნაცემი-ლა დარჩა. ყველა ამაებზედ, ოქმი შეადგინეს და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო. მთელი სოფელი ძლიერ აღელვებულია ალდატოვზედ, ეს უბედური ამბავი მთელის სოფლის უბედურება არისო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თეთირმაზოვი რო გადაეწვათ და ბოროტმოქმედი არ აღმოჩენილიყო, მთელს სოფელს მოეკითხებოდაო. მეორედ უფრო იმიტომ, რომ ამისთანა ბოროტ საქმეს ჩვენი მომავალნიც დაეჩვევიან და გზას ბოროტებისას ისწავლიანო...

27-ს თებერვალს ხუმელაგაში მოვიდა კავკავის მაზრის მეორე «უჩასტკის» უფროსი; შეჰკრიბა საზოგადოება და გამოუცხადა: 1) მაზრის უფროსმა გამომგზავნაო, ამას წინად რომ გუკაევის მეწისქვილე მალაკანი ისკოსკოვი მოჰკლეს აქა, იმისი მკვლელი თქვენ იცითო; ან მოგვეცით მეწისქვილის მკვლელი, და ან ასი თუმანი უნდა გადიხადოთო. საზოგადოებამ უპასუხა: ჩვენ არც ვიცით მეწისქვილის მკვლელი, და არც ასის თუმნის გადამხდელნი ვართო; თუ ბატონმა მაზრის უფროსმა იცის და დაგვისახელებს მეწისქვილის მკვლელს, დიდი მადლობელი ვიქმნებით, რადგანაც ჩვენთვისაც საყვარელი და სასიამოვნო არ არის ბოროტი კაციო. 2) თქვენ ნება არა გაქვთო, უთხრა უფროსმა, რომ თქვენს სოფელში მომუშავე ხელოსანთ, მაგალითებრ: მეხანჯლეებს, მჭედლებს, დურგლებს, მექვაბეებს და სხვა მოვაჭრეთ, ხარჯი გამოართვათო, თუ ისინი კერძო კაცის სახლში ქირით სცხოვრებენო. თუ არ გინდათ, რომ თქვენ შორის იყვნენ, შეგიძლიათ პირობა შეჰკრათ ერთმანეთში, და არავინ-რა გააკეთებინოთ, არ ივაჭროთ იმათგანაო. და 3) ნება გაქვთ ატაროდ კონდრიდამ გასატენი ორ-ლულიანი თოფი, აგრეთვე სხვა ფისტონიანი თოფი და დამბაჩა, გარდა ბერდანისა და რევოლვერისა, ე. ი. იმისთანა იარაღისა, რომელიც გილზით იტენებაო.

ხუმელაგაში ყვავილმა იჩინა თავი. სიმინდის ფასმა თანდათან დაიწია ბარის ოსეთში. ფუთ ნახევარი 23—25 კაპეიკათ იყიდება.

ქართველი ოსეთში

---

## დამაკვირდი

—

ცოლი გერმანიაში დიასახლისია, ინგლისში ბატონია, საფრანგეთში მანდილოსანია, იტალიაში ტყვეა, ისპანიაში მხევალია.

—

რაც მზეა მთავრისათვის, ის ქმარია ცოლისათვის.

პირრემონტი

---

### პასუხად პასუხისა

დეკანოზ ღამბაშიძეს

(დასასრული*)

ასე, მამაო. მერე ჰო, როცა სასწაული მოხდება და პროვიზორად გარდაიქმნებით, მაშინ კიდევ ჩვენ შევიძლიან განვაგრძოთ სამეცნიერო კამათობა: ფარმაკოგნოზიასა, ფარმაცეულ ქიმიასა, ანალიტიკურ ქიმიასა და ფარმაკოლოგიაზე. სწორედ იმ ფარმაკოლოგიაზე, რომლის ლექციებსაც პროვიზორები ისმენენ ხოლმე მთელ ორ სემესტრის განმავლობაში. თქვენდა სამწუხაროდ, მამაო, ეს ფარმაკოლოგია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც ასწავლის პროვიზორებს, რა და რა წამალი რა სატკივრისთვის იხმარება, რა გავლენა აქვს წამალს ადამიანის სხეულზედ, ადგილობრივ კანზედ ცხებულს და საზოგადოდ, შიგნით მიღებულს და რა ზომით უნდა მიიღოს ავადმყოფმა წამალი და სხვ. და სხვ.

თქვენ-კი თქვენს მკითხველებს, გულ-მართალ მღვდლებს, აჯერებთ: „პროვიზორმა იცის მხოლოდ, თუ რომელს წამალს რა სახელი აქვს და მოამზადებს ისე, როგორც უჩვენებს ექიმიო. რაიცა შეეხება ავადმყოფობას, მისი არა გაეგება-რა და არც ის იცის, თუ რომელი წამალი მოარჩენს ავადმყოფსო.“

ღმერთს გეფიცებით, მამაო, გვიკვირს და გაგვკვირებია, თუ-კი მღვდელს გაეგება ავადმყოფობისა და ისიც იცის, რომელი წამალი მოარჩენს ავადმყოფს, თან «კარაბადინსაც» დასწერს, მაშ პროვიზორს რაღა დაემართა, რომ მღვდლის ოდენა აღარ იცოდეს ავადმყოფობისა და წამლებისა!? გარდა ამისა, ნეტა რად მრისხანებთ, მე როგორც ფარმაცევტმა, წამლების მომზადების და ხმარების სპეციალისტმა, აკი მხოლოდ მეთოხე განყოფილება გავარჩიე თქვენის შესანიშნავის და საქართველოს სასიქადულო და საშვილიშვილო „კარაბადინისა!“

დიაღ, მამაო, როცა პროვიზორი შეიქმნებით, ჩვენ შევიძლიან აგრეთვე ვიბაასოთ, რამდენად ვალდებულია მთავრობის კანონით, რომ პროვიზორმა ექიმობაც იცოდეს ყოველ შემთხვევისთვის, ვინიცობაა კაცი მოიწამლა, დაირჩო, გაიყინა, დაიწვა, მეხი დაეცა, წვეთი დაეცა, ცოფიანმა და გესლიანმა ცხოველებმა დაკბინა და სხვ. და სხვ.

კი, ბატონო. მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც პროვიზორობის დიპლომს მიიღებთ და აღიჭურვებით ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სწავლა-მეცნიერებით, მაშინ გაიგებთ, პროვიზორი რა მეცნიერი-ქიმიკოსიც ყოფილა და რამდენი მოვალეობა აწევს მთავრობისა და კაცობრიობის წინაშე. მაშინ იმედი მაქვს, პროვიზორს აღარ ჩაჰფლამთ გუთნის კვალში და აღარ ეტყვით თქვენს მკითხველებს: „არ-კი გეგონოთ, რომ პროვიზორი ან ექიმი იყოს, ან ვინმე დიდი ნასწავლი კაციო“.

თორემ, აბა, ახლა რა გელაპარაკოთ? მე რომ ავიღო ქიმია ხელში და თქვენს პასუხზე სამეცნიერო პასუხი მოგცეთ იმ საგანზე, რა საგანშიაც თქვენ მტკნარი უვიცი ბრძანდებით, ეგ ხომ დამცირება იქმნება იმ წმიდათა—წმინდა მეცნიერებისა, რომელიც იხეთის სიყვარულით შემისწავლია და კიდევაც ვსწავლობ და რომელსაც, ოცი წელიწადი მეტია, წმინდის სასოებით და თავ-გამოდებით ვემსახურები.

მართლა და საუცხოვო რამ იქმნება, თქვენმა მზემ, მღვდელთან ქიმიაზე კამათობა.

—

P. S. კარაბადინის ავტორი თავის პასუხში გვემდურის: „ძრიელ ვწუხვართ, ბ-ნო ზიარელო პროვიზორო, რომ მესამე ნაწილი ჩვენის კარაბადინისა არ წაგიკითხავსო“ მეც გადავშალე და 105 გვერდზე ასეთი სათაური დამხვდა: „საზოგადო დარიგება წინედ ავად გახდომისა, სნეულების გაგრძელებისა და შემდეგ მორჩენისა.“ მეც ვსთქვი, ღმერთო, დამიხსენ ამისთანა ქართულისაგან მეთქი და უკუ ვაგდე მისი კარაბადინი. ბოლოს მაინც ავიჭურვე მოთმინებითა და განვაგრძე კითხვა. პირველ სტრიქონიდგანვე იწყებს:

„ა)..... მიეცეს პირიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № კბ. ქვეშეო“..... ახლა მეორე პარაგრაფში სწერია:

„ბ)......... მიეცეს ტანიდგან სასაქმებელი წამალი, აღწერილი № № ით და კ ქვეშეო“..... და სხვა

ერთის სიტყვით, დეკანოზ ღამბაშიძის ექიმობით ასე გამოდის, რომ ავადმყოფი უწინარეს ყოვლისა პირიდგან და ტანიდგან უნდა გაიხსნას, მერე ლოგინში ჩააწვინოთ და შემდეგის პარაგრაფებით უწამლოთ. მეკი ღმერთმა დამიხსნას ამ ნაირ ექიმისაგან და სხვისი კი რა მოგახსენო—კაცია და გუნებაო.

კარაბადინის ავტორის პასუხში მხოლოდ ერთად ერთი მართალი ვიპოვე. დეკანოზ ღამბაშიძეს უპოვნია ჩემს კრიტიკაში ერთი შეცდომა, რომელიც ან ასოთ ამწყობის ბრალია, ან კორრექტურასი, ან იქნება ჩემი დაწერილი არ იყო ადვილი გასარჩევი, ეს შეცდომა გახლავსთ ის, რომ шалфей-ს (შალფეი)ს მაგივრად დაბეჭდილია шалорей (შალორეი)—

ამას გარდა თუ ერთ მართალს იპოვით მთელს მის პასუხში, რა ჯარიმაც გნებავსთ, გადამახდევინედ.

ზიარელი პროვიზორი
ხ. პ.

*) იხ. „ივერია“, № 57.

---

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** გაზეთებში უკვე დაბეჭდილია პირველი ცნობები ლორდ როზბერის მიერ ედინბურგში წარმოთქმულ სიტყვის შესახებ. ინგლისის მთავარ-მინისტრმა განაცხადა თურმე, რომ შემდეგს არჩევანებზედ ჰომრულს უფრო ცოტა მოწინააღმდეგე გამოუჩნდებაო. შემდეგ სთქვა, რომ ლორდთა პალატა ამ ჟამად საშიში და საფრთხილო დაწესებულებაა ქვეყნისათვის და მთავრობას ერის დახმარების იმედი აქვს, რომ მხნედ დაიწყოს მოქმედება ამ საგნის შესახებაო. ინგლისი იმიტომ-კი არ აძლიერებს ფლოტს, რომ სატევ პოლიტიკას უნდოდეს მიჰყოს ხელი, პირიქით, ეს გაძლიერება ფლოტისა საუკეთესო თავმდებია მშვიდობიანობის დაურღვევლობისაო.

—

ამას წინად ჰაიდპარკში კრება ჰქონდათ მუშათა შეერთებულ საზოგადოებათ ლორდთა პალატის წინააღმდეგ. მუშები რიგ-რიგით მივიდნენ ჰაიდპარკში. იმათში ერია რამდენიმე დეპუტატიც. ამ ხელადაც უმთავრესი ორატორი კრებისა ბერნსი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ მე ლორდთა პალატის გაუქმების აზრისა ვარო. ჩემი აზრი ამ მხრივ მით უფრო შესაწყნარებელია, რომ ბევრჯელ მიდევნებია თვალ-ყური სენატისა და პალატის დამოკიდებულებისა და ურთიერთობისათვის საფრანგეთსა და შეერთებულს შტატებშიო. კრებამ განაჩენი დაადგინა, მოვითხოვოთ,

---

ესწავლა თავისი ხელობა. თერთმეტის წლის კაკო გამოეთხოვა თავის საყვარელს დედას, ბასილ-დიაკვანს, იმის სახლობას და მეზობლობას და გასწია ქალაქისაკენ, იქაურობის სრულიად უვიცმა. ქალაქში ჩამოსვლისათანავე მიჰმართა, როგორც დაარიგეს, ერთ-ერთ ეკკლესიის წინამძღოლს—დეკანოზს, რათა მიეღოთ მორჩილ-მოსამსახურედ და, რაც უკლდა, დაემთავრებინა. მ. დეკანოზი ღვთის მოშიში და პატიოსანი კაცი იყო. რომ გამოჰკითხა ბავშვს ვინაობა და გაიგო მისი სიობლე, სურვილი და ბეჯითობა, მიიღო ეკკლესიის ეზოში მორჩილ-მოსამსახურედ და დააბინავა ერთ პატარა ოთახში—„სასტოროჟოში“. ხსენებული ოთახი ისე ვიწრო და დაბალი იყო, რომ ერთად-ერთი ადამიანი ძლივს მოთავსდებოდა. იატაკი აგურებით მოკირწყლული ჰქონდა. შიგ იდგა ერთის კაცის საწოლი ტახტი, რომელიც ისე იყო გალესილი ჭუჭყით, რომ სირაჯხანის დახლი წარმოგიდგებოდათ თვალ-წინ. მისთვის არც საფენი, არც ლოგინი ჯერ არსად იყო.

### IV

დიდ-მარხვის პირველ კვირის შაბათი იყო. მზეს საკმაოდ გადმოეწია ჩრდილოეთისაკენ და მოკრიალებულს ციდგან დედა-მიწას თბილს სხივებს უგზავნიდა. ქალაქის ეკკლესიების თუნუქის გუმბათებს და სხვა-და-სხვა ძვირფას შენობათა ფანჯრების მინებს და სახურავებს მზის სხივებზედ ბჭყვრიალი გაჰქონდა. ეკკლესიებიდგან ზარების გუგუნი და წკარუნი მოისმოდა. ყველანი სუფთად და ფაქიზათ ჩაცმულები იყვნენ და მიეშურებოდნენ ეკკლესიებში, ზოგი წმიდის საიდუმლო ზიარების მისაღებად და ზოგნიც წირვის მოსასმენად. მაზიარებლებს თითო ბოთლი წითელი ღვინო და თითო-ოროლა თეთრი სეფისკვერი გამოეკრათ თეთრს ხელსახოცებში და ისრე მიემართებოდნენ საყდრისკენ...

სწორედ ამ დროს ჩვენი კაკო ამოსდგომოდა გვერდში უფროსს დიაკვანს საწიგნობორთან და ლამაზის კილოთი ბანს აძლევდა გალობაში; ზოგჯერ, ხან-გამოშვებით, დიაკვნის ჩვენებით კაკო ჟამნიდგან რომელიმე მუხლს ჩაარაკრაკებდა და მოქალაქეთა ყურადღებას ამით მიიქცევდა ხოლმე. დღეს კაკოს ძალიან უხაროდა. დილით წინამძღოლმა და «დიდმა დიაკვანმა» უთხრეს: შვილო, კაკო, ყოჩაღად მოიქეც. ბეჯითე, აი, დღეს რადგანაც შაბათია, მაზიარებელნი ბევრნი გვყავან და შემოსავლიდგან, როგორც ღვინიდგან, სეფისკვერიდგანა, კოლიოდგან, ისე ფულიდგანაც წილს დაგიდებთო. კაკოს უფრო იმიტომ უხაროდა, რომ აღებულის ფულით შეიძენდა თავის ხმელის ტახტისათვის საფენ-საგებს და კიდევ-წერილის მიწერისა და გაგზავნის ღონეც ექნებოდა. წერილი უნდა მიეწერა სოფელში თავის დედასთან და ეცნობებინა, რომ მიმიღეს აქ და კარგადა ვარო. წირვის დასასრულს კაკოს მისცეს დაჭრილი სეფისკვერი სპილენძის თეფშით და ამოუყენეს მწირველ მოძღვარს მარჯვენა მხარეს. მლოცავები რიგ-რიგით მოდიოდნენ, ემთხვევოდნენ ჯვარს, მოძღვარი სეფისკვერს აძლევდა და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. მაზიარებელნი-კი სეფისკვერის აღების გარდა, მიდიოდნენ საწიგნობრის ახლო მდგომ „დიდ-დიაკვანთან«, ზედაშით პირს ივლებდნენ, სეფისკვერის ნაჭერს იღებდნენ და თავიანთ წვლილს „ზანზალაკზედ“ სტოვებდნენ. ყველანი რომ გაიკრიბნენ საყდრიდგან, კრებულმა შემოსავალი გაინაწილა და ჩვენს კაკოსაც სამი მანეთი არგუნეს. კაკო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა; იმ დღიდგან სულ იმას სცდილობდა, რომ უფრო ყოჩაღად და ბეჯითად ესწავლა დიაკვნობა. სულ იმის ცდაში იყო, რომ მოძღვართან და „დიდ-დიაკვანთან“ თავი არაფერში არ შეერცხვინა; ემორჩილებოდა და ემსახურებოდა როგორც შინ, ისე გარედ: ჰგზავნიდნენ ბაზარში ათას რამისათვის, აწმენდინებდნენ ოთახებს, ეზოებს, ეკკლესიას და სხ. ყველა ამას კაკო მარდად და სისწრაფით ასრულებდა. მალე ყველას ისე შეჰყვარებოდათ ეს მალხაზი ბავშვი, რომ თვალში ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ.

კაკომ წერილი მისწერა თავის დედას სოფელში და სიხარულით იხსენიებდა ქალაქის ყოფა-ცხოვრებას, თავის მოძღვარს და „დიდ-დიაკვანს“; სხვათა შორის სწერდა კიდევ: „დედიჯან! დიდ-მარხვის პირველ შაბათს ჩვენს ეკკლესიაში ბევრი მაზიარებელი იყო და ჩემმა კეთილმა მოძღვარმა და „დიდმა-დიაკვანმა“ სამი მანეთი შემოსავლიდგან მაჩუქეს და დამპირდნენ, თუ კარგი ვიქნები, მომავალშიაც არას დაგაკლებთო, ჯამაგირსაც-კი დაგინიშნავთო. დედაჯან მიხარიან, რომ ასეთ კეთილ ხალხის ხელში ჩავვარდი; თუ ღმერთმა შემაძლებინა, მალე ადგილს ვიშოვნი მანდეთ და შენც გაგახარებ ჩემის ბედნიერებით“...

არ გავიდა ამის შემდეგ ერთი კვირა, კაკომ დედისაგან მიიღო, სოფლელ კაცის ხელით, მისგან გამოგზავნილი ხურჯინი, გატენილი გრძელის თეთრის შოთის—პურებით და სხვა-და-სხვა ხილით; ხურჯინში იდო ერთი ჩაფიანი ტიკჭორაცა სოფლური ღვინით სავსე. ყველა ესეები, რასაკვირველია, გამოგზავნილი იყო თეკლეს მიერ მისართმევად კაკოს ახალი მასწავლებლებისათვის.

კაკოს მუდმივი ხელმძღვანელი იყო ეკკლესიურ წიგნების შესწავლაში „დიდი-დიაკვანი“, რომელიც საკმაოდ დახელოვნებული იყო ამ საქმეში. მან ყოველი ღვთის მსახურების წესრიგი დაწვრილებით იცოდა. მალე კაკომ ამასთანვე შეისწავლა რიგიანი მხედრული წერა-კითხვაც, რომელსაც ვერ სძლია ბასილა-დიაკვანთან. ეკკლესიურ საქმეებში, რაღა თქმა უნდა, უფრო შესაფერად გავარჯიშდა.

ვ. კოპტონაშვილი

(დასასრული იქნება)

რომ ბილლი იქმნას შედგენილი ლორდთა პალატის გაუქმების შესახებაო.

—

ლონდონის გაზეთების მიმართულების მიუხედავად აცხადებენ, რომ სამხედრო გემ-ხომალდებისა და საზოგადოდ ფლოტის გაძლიერების მხრივ სამინისტრომ გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლო, ვიდრე ერსა ჰქონდა მოლოდინიო. მხოლოდ ისკია, რომ მთავრობა აქამდე უარს არის და არ უნდა გამოაცხადოს სრული პროგრამა გემ-ხომალდების აგებისა, რომელსაც იგი ადგას ამ ხუთის წლის განმავლობაში. ოფიციალურად ამ პროგრამის გამოუცხადებლობის მიზეზად მთავრობა იმას ასახელებს, რომ გამომჟღავნებული პროგრამა რუსეთსა და საფრანგეთს შეძლებას მისცემს ჩვენებრ განაძლიერონ თავისი ფლოტიც და ხუთის წლის განმავლობაში ისევ წამოეწევიან ამ მხრივ ინგლისს, ჩვენ არ ვიქნებით წინ წასულნიო. ასეა თუ ისე, ინგლისი ამ ჟამად დიდს მზადებაშია, რამდენისამე ჯავშნიანს გემ-ხომალდის აგებას უკვე ამთავრებს და რამდენიმე კიდევ განზრახული აქვს და, ამას გარდა გარდაწყვეტილია, რომ ფლოტის მოსამსახურეთა რიცხვი 6,700 აფიცერითა, მეზღვაოსნენი და მემაშინენი კიდევ განაძლიერონ. ამავე წელს დაიწყებს იგი რამდენისამე სამხედრო ციხე სიმაგრეთა გამაგრებას.

—

**ავსტრი - უნგრეთი.** პეშტიდგან მოსულ დეპეშებიდგან, სჩანს, რომ თითქმის მთელს ქალაქს შავები ჩაუცვამს კოშუტის გარდაცვალებისაგამო. მკვიდრნი სხვა-და-სხვა მანიფესტიციებით აცხადებს თავის მწუხარებას ამ ერის გმირის გარდაცვალებისაგამო, რომელმაც ისე ძლიერ წარუმართა ხელი უნგრეთის დამოუკიდებლობის საქმეს; ხალხი დიდად არის აღელვებული.

ლუდვიგ კოშუტი დაბადებულა უნგრეთის დაბა მონოკოში 1802 წ.; იგი ეკუთვნის გაღარიბებულ აზნაურის ოჯახს, სლავიანთა შთამომავლობისას, და პროტესტანტი იყო სარწმუნოებით. საკვირველი ის არის, რომ კოშუტის გვარეულობაში მამულიშვილობა და მამულის სიყვარული საზოგადო თვისება იყო: 1527 წლიდგან 1715 წლამდე კოშუტის გვარეულობის ჩვიდმეტს წევრს სდევნიდა ავსტრიის მთავრობა წინააღმდეგობისათვის და უნგრეთის სიყვარულისათვის.

ტურინიდგან იუწყებიან, რომ კოშუტის გვამი უკვე შემურვილია და ყვავილ-მოფენილი. ტურინის ქალაქის საბჭომ დაადგინა დიდი პატივისცემა გაუწიოს გარდაცვალებულის ცხედარს. აქ იმ აზრისანი არიან, რომ კოშუტისა, იმისის ცოლისა და ქალიშვილის გვამი ბუდაპეშტში იქნება გადატანილიო. ყოველ ქვეყნიდან უთვალავი დეპეშა მოდის, რომლითაც მწუხარებას აცხადებენ. ტურინში მყოფი უნგრეთის დეპუტატნი და კოშუტის ვაჟიშვილნი ყველგან ეძებდნენ, მაგრამ გარდაცვალებულის ანდერძის წერილი ვერა იპოვნეს რა.

## გასართობი

—

როდესაც კარლ მე-X-მ თავის მეფობის უკანასკნელს წელიწადს აღუკრძალა დრამა „მარიონ დელორმის“ წარმოდგენა, ვიქტორ ჰუგოს მეგობრებმა სთხოვეს პოლინიაკს ნება დაერთო ამ დრამის წარმოდგენისა, მაგრამ პირველი მინისტრი ამის წინააღმდეგი იყო თურმე. მინისტრს მოახსენეს, რომ შექსპირის დრამები უფრო მკაცრის კილოთი არის დაწერილი, მაგრამ იმათი აღკრძალვა ელისაბედის დროსაც-კი არავის უფიქრნიაო. მინისტრმა დაცინვით უპასუხა, რომ ეგ დრამები მხოლოდ შემდეგმა შთამომავლობამ დააფასა და ვიქტორ ჰუგოსაც სანუგეშოდ ესევე რჩება, რადგან თანამედროვეთ ჰუგოს პიესების წარმოდგენა უმართებლოდ და შეუძლებლად მიაჩნიათო. რომელღამც მთხოვნელთაგანა მოახსენა:

— სამწუხაროა მხოლოდ, რომ ახალის შექსპირის სახელთან ერთად არ გადაეცემა მომავალ შთამომავლობას იმ მინისტრის სახელიც, რომელიც ასე სასტიკად აღკრძალავს იმის პიესების წარმოდგენასაო.

— აგრე რად ჰფიქრობთ? ჰკითხა პოლინიაკმა. მინისტრის სახელი ყოველთვის შეიძლება პოეტის სახელთან ერთად გადაეცეს შთამომავლობას.

— კარგი, მაგრამ ვინა ბრძანდებოდა მინისტრად შექსპირის დროს? უეცრად ჰკითხა ჰუგოს მეგობარმა.

პოლინიაკი შეკრთა, ცივად დაუკრა თავი და უთხრა, რომ აუდიენცია გათავებულიაო.

— მაინც-კი კაცობრიობა ათასის წლის შემდეგაც პატივისცემით მოიხსენიებს შექსპირის სახელს, მაგრამ ფიქრშიაც არ მოუვა იკითხოს, რომელ მინისტრის დროს სწერდა იგი თავის დრამებსაო. მოახსენა ჰუგოს მეგობარმა და გამოემშვიდობა პოლინიაკს.

**

ჩვენი მსახიობნი ყველა როლებზედ უკეთესად ბენეფიციანტის როლს თამაშობენ და ბენეფისის წინად ისე ცოცხლად და მარტივად უჩვენებენ სიყვარულს, მორჩილებას და გულ-მოდგინებას დრამების ავტორებს, ჟურნალისტებს და იმ მდიდარ ხალხს, რომელნიც უხვად აძლევენ ფულს ლოჟებისა და სავარძლებში, რომ თვით ადამიანის გულს ღრმად მცოდნე-თაც-კი მათი დრამატიული წარმოდგენა სინამდვილე ჰგონიათ.

**

ქ-ნ ჟოკურთან ერთხელ სადილად იყო ერთი ძალიან ჭკვიანი ყმაწვილი კაცი. ამ ყმაწვილმა კაცმა დაიწყო ერთის გრძელის ამბის მბობა და ლაპარაკის დროს ჯიბიდგან პატარა დანა ამოიღო ინდოურის გასაჭრელად.

— მოწყალეო ხელწიფევ, უთხრა დიასახლისმა, სადილობის დროს სჯობია დიდი დანა იქონიოთ და პატარა ამბებიო.

## გამოსადეგი ცნობა

—

ჩალა და თივა—ცხენის საკვები. ხალხში არის გავრცელებული რწმუნება, რომ ვითომ ჩალა თავის მაგიერობას ვერასოდეს ვერ გასწევს, როგორც ცხენის საკვებაო. ამის გამო მეტი არ იქნება აღვნიშნოდ ნაუწყები ჟურნალ „Neu malitar Blätter“-ის აზრი ამ საგნის შესახებ, მით უფრო, რომ ამ ჟურნალს თვალ-ყური უდევნებია ამ მხრივ ცხენოსანთა ჯარისათვის.

იმასის სიტყვით, როდესაც ცხენებს ჩალაზედ თივას მეტს აძლევენ, საშინელი სიზარმაცე ეტყობათ და ძალიან ადვილად ოფლიანდებიან სულ მცირე მუშაობის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ჩალას უფრო მომეტებულს აძლევენ, ვიდრე თივას, მაშინ ცხენებს ხანგრძლივის მუშაობის შემდეგაც დაღალვა თითქმის არ ეტყობათ და არც ოფლიანდებიან. საყურადღებოა, რომ ესევეა შენიშნული, როცა შვრიას მომეტებულს აჭმევენ ცხენებს, ვიდრე თივას.

განსაკუთრებითი საყურადღებოა ეს აზრი ჟურნალისა იმის გამო, რომ, როგორც ვუწყით, რაც ხანი გადის, თანდითან თივა უფრო მცირდება.

# დეპეშა

15 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს დაიწყო შეერთებული კრება მოსკოვისა, კავკასიისა და იმიერ-კასპიის შავს ზღვაზედა და მდ. ვოლგაზედ უწყების წარმომადგენელთა შეერთებული კრება საკონვენციო და საგარდასახადო საგნების განსახილველად.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო!

ივერიის მე-54 ნომერში ახალ ამბავთა შორის სწერია, რომ ბ-ნ არეშიძის ქადაღდებში ოთხი პიესა უწოვნიათო და ერთი იმ პიესათაგანი „ქირით სახლი გუკიაში“ ზ. ანტონოვისა არისო.

რადგან მე გიორგი დავითის მის ერისთავისაგან გამართულს თეატრში ვიყავ მონაწილე, ვიდრე გაუქმდებოდა, თითქმის ხუთის წლის განმავლობაში, საკვირველი არავისთვის არ უნდა იყოს, რომ ვიცოდე ნამდვილად, ვის ეკუთვნის „ქირით სახლი გუკიაში“; ეს პიესა არის გადმოთარგმნილი მაშინ ჩემთან მყოფის გიორგი დვანაძისაგან რუსულით: „Наемная квартира въ Петербургѣ“. თარგმანი რუსულს არ მიემგზავსებოდა და პიესა ქართულს გემოზედ იყო გადმოკეთებული*). რომ ეს პიესა გიორგი დვანაძეს ეკუთვნის, ამის დასამტკიცებლად საკმაოა წაიკითხოთ თავ. გიორგი დავითის მის ერისთავის თხზულებათა წინა-სიტყვაობა ბატონის მეუნარგიასი, გვერდი LI, და იქიდგან დარწმუნდებით, ვის ეკუთვნის პიესა „ქირით სახლი გუკიაში“. ბ-ნს მეუნარგიას, თუ ნამდვილი ცნობა არა ჰქონოდა, არ დასწერდა თავის წინა-სიტყვაობაში იმას, რაც ზემოდ მოხსენებულია.

გიორგი სვიმონის ძე ჯაფარიძე

გორი, 14 მარტს.

### პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,47 | 7½ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149¼ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — , | — , | 192¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101⅝ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 98½ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101⅝ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | 98½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

მ

*) იმ პიესაში მეც ვიყავი მოთამაშე ი როლისა, რომელიც ხშირად ნაქირავს სახლს ჰკეტდა ხოლმე და ორთაჭალაში იკარგებოდა საქეიფოდ.

ავტ.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

## თესლეულობით ვაჭრობა

ვ. ვ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი დ ე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—11)

---

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

# საპონი

პროვიზორი

## ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თეზოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—7)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |